საქართველო

25314-01-2-201707101118

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/25314
10/07/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის
სამინისტროს აპარატის უფროსს
ქალბატონ **სოფიკო ბელქანიას**

ქალბატონო სოფიკო,

გიგზავნით შემაჯამებელ ინფორმაციას 2017 წლის 22-31 მაისს, ქ. ჟენევაში, გამართული **ჯანდაცვის მსოფლიო 70-ე ასამბლეისა** და 1 ივნისს გამართული **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 141-ე სხდომის** შესახებ.

ჯანდაცვის მსოფლიო 70-ე ასამბლეა

როგორც თქვენთვის ცნობილია, ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ბ-ნმა დავით სერგეენკომ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ბ-ნმა ამირან გამყრელიძემ და ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დიპლომატებმა.

24 მაისს, გენერალური დისკუსიის სეგმენტში, მინისტრმა სიტყვით მიმართა ასამბლეას (იხ.დანართი).

ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ ბ-ნი დავით სერგეენკო დაამტკიცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად 3 წლის ვადით.

არჩევნები

ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის არჩევნები, რომელიც ჩატარდა სამ რაუნდად. პირველ რაუნდის შემდეგ, არასაკმარისი ხმების გამო, პროცესს გამოაკლდა პაკისტანის წარმომადგენელი, ხოლო, მეორე რაუნდზე ეთიოპიის წარმომადგენელს გამარჯვებისთვის დააკლდა 1 ხმა.

საბოლოოდ, მესამე რაუნდის შემდეგ, ორგანიზაციის ახალი გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ეთიოპიის კანდიდატი, დოქტორი ტედროს გაბრიესუსი.

განხილული საკითხები

ასამბლეის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: პროგრამა და ბიუჯეტი, დაავადებებზე რეაგირება, ჯანდაცვის სისტემები, გადამდები და არაგადამდები დაავადებები, ჯანდაცვის ხელშეწყობა, ფინანსები, აუდიტი, ადამიანური რესურსები, მენეჯმენტი, მმართველობითი და სამართლებრივი საკითხები.

რეზოლუციები და გადაწყვეტილებები

საქართველო გახდა შემდეგი 4 რეზოლუციის თანასპონსორი: Strengthening immunization to achieve the goals of the global vaccine action plan; Global vector control response – an integrated approach for the control of vector-borne diseases; Human resources for health and implementation of the outcomes of the United Nations' High-Level Commission on Health Employment and Economic Growth; Cancer prevention and control in the context of an integrated approach.

საქართველო გახდა შემდეგი 3 გადაწყვეტილების თანასპონსორი: Public health dimension of the world drug problem; polio transition planning; Strengthening synergies between the World Health Assembly and the Conference of the Parties to the WHO Framework Convention on Tobacco Control.

ყველა რეზოლუცია და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კონსესუსით, გარდა შემდეგი გადაწყვეტილებისა: „ჯანდაცვის მდგომარეობა ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში და ასევე ოკუპირებულ სირიულ გოლანში". კენჭისყრის შედეგები: *98-7-21*. 61 სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ესწრებოდა კენჭისყრას. ისევ როგორც გასულ წლებში, საქართველოს დელეგაცია არ ესწრებოდა კენჭისყრის პროცესს.

საქართველოს დელეგაციის განცხადებები

გარდა გენერალური დისკუსიის სეგმენტში მინისტრის განცხადებისა, საქართველოს მისიის დიპლომატებმა გააკეთეს **4 განცხადება:** Item 14.1 – Global Vaccine Action Plan; Item 14.2 Global Vector Control Response; Item 15.6 - Cancer prevention and control in the context of an integrated approach; Item 15.7 – Strengthening Synergies between the World Health Assembly and Conference of the Parties to the WHO Framework Convention on Tobacco Control.

ორმხრივი შეხვედრები

ასამბლეის პარალელურად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ბ-ნმა დავით სერგეენკომ გამართა შემდეგი შეხვედრები:

23 მაისი - ორმხრივი შეხვედრები ბელარუსის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრთან, ვალერი მალაშკოსთან და უკრაინის ჯანდაცვის მინისტრთან, ულანა სუპრუნთან. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე;

23 მაისი - ორმხრივი შეხვედრები გენერალური დირექტორის პოსტზე პაკისტანის კანდიდატთან, დოქტორ სანია ნიშტართან და ეთიოპიის კანდიდატთან, დოქტორ ტედროს გაბრიესუსთან (კანდიდატებმა გააკეთეს პრეზენტაცია, არჩევნების კამპანიის ფარგლებში);

24 მაისი - შეხვედრა შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის რეგიონულ მენეჯერთან, დიმიტრუ ლატიშევჩისთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე სკრინინგ პროგრამებს და შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

პანელები და შეხვედრები

19 მაისს, საქართველომ, გერმანიამ და არასამთავრობო ორგანიზაცია IPPF-მა ორგანიზება გაუკეთა შეხვედრას: "sexual and reproductive health and rights (SRHR) opportunities at the HRC and beyond", სადაც მოხსენებები გააკეთეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან მოწვეულმა ექსპერტებმა, ხოლო საქართველოსა და გერმანიის მისიის დიპლომატებმა შეხვედრას გაუწიეს მოდერატორობა.

საქართველო გახდა 30 მაისს გამართული პანელის "Commemoration of World No Tobacco Day 2017" თანაორგანიზატორი ქვეყანა, რომელზეც სხვა პანელისტებთან ერთად მოხსენება გააკეთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა მარგარეტ ჩანმა.

ტაივანის მონაწილეობის საკითხი

აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ასამბლეაში ჩინეთმა ტაივანს არ მისცა უფლება, მონაწილეობა მიეღო ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსით. 22 მაისს, გენერალურ კომიტეტში, რომელიც წარმოადგენს ასამბლეის ბიუროს, 70-ე ასამბლეის სამუშაო პროგრამის მიღებისას, დადგა საკითხი სამუშაო პროგრამაში დამატებულიყო საკითხი ტაივანის მონაწილეობასთან დაკავშირებით. გენერალურმა კომიტეტმა შეიმუშავა პლენარული სხდომისთვის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც ტაივანის მონაწილეობის შესახებ დამატებითი საკითხი არ უნდა მოხვედრილიყო სამუშაო პროგრამაში. აღნიშნული რეკომენდაცია დამტკიცდა პლენარულ სესიაზე.

ასამბლეის პრეზიდენტი

საყურადღებოა, რომ 22 მაისს, ასამბლეის პროცედურული წესების შესაბამისად, რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ქ-ნი ვერონიკა სკვორცოვა ასამბლეამ აირჩია პრეზიდენტად (რუსეთის კანდიდატურა შეთანხმდა ევროპის რეგიონული კომიტეტის მუდმივმოქმედ კომიტეტში). უკრაინის დელეგაციამ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც წარმოადგენს საოკუპაციო ძალას არ აქვს მორალური უფლება, არჩეულ იქნას ასამბლეის პრეზიდენტად და უხელმძღვანელოს მას. უკრაინის დელეგაციას რუსეთის წარმომადგენლის პრეზიდენტად არჩევის საკითხი კენჭისყრაზე არ დაუყენებია, თუმცა პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 141-ე სხდომა

აღმასრულებელი საბჭოს 141-ე სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ბ-ნმა დავით სერგეენკომ და ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დიპლომატებმა.

აღმასრულებელმა საბჭომ განიხილა სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: პროგრამების, საბიუჯეტო და ადმინისტრაციული კომიტეტის ანგარიში, ტექნიკური და ჯანმრთელობის საკითხები, რევმატიული გულის დაავადებები, მენეჯმენტისა და მმართველობითი საკითხები, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკითხები, საინფორმაციო საკითხები.

აღმასრულებელმა საბჭომ განსაზღვრა 2018 წელს გასამართი აღმასრულებელი საბჭოს სხდომების, ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეისა და პროგრამების, საბიუჯეტო და ადმინისტრაციული კომიტეტის შეხვედრის თარიღები. მიღებულ იქნა 3 რეზოლუცია და 3 გადაწყვეტილება.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,
ვიქტორია ბაიკოვა

დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი